

*შპს ქართული ღვინის ბანკი*

*ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდი.*

*ქ. თბილისი 2023 წელი*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ფინანსური მდგომარეობა                                          |                 |                 |                 |
|----------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
|                                                                |                 |                 |                 |
| ფინანსური მდგომარეობა                                          | 31/12/2023      | 31/12/2022      | 31/12/2021      |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                          | 394             | 112             | 687             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                     | 79405           | 83701           | 0               |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად<br>გაცემული ფულადი სახსრები |                 | 0               | 0               |
| მარაგები                                                       | 23260           | 10238           | 16895           |
| მზა პროდუქცია                                                  |                 | 0               | 0               |
| სხვა                                                           | 23260           | 10238           | 16895           |
| საინვესტიციო ქონება                                            |                 | 0               | 0               |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                     |                 | 0               | 0               |
| ბიოლოგიური აქტივები                                            | 3064247         | 2112085         | 1488897         |
| თვითღირებულების მოდელით                                        | 3064247         | 2112085         | 1488897         |
| გადაფასების მოდელით                                            |                 | 0               | 0               |
| გუდვილი                                                        |                 | 0               | 0               |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                   | 2508            | 2508            | 2508            |
| ძირითადი საშუალებები                                           | 10793876        | 10810065        | 9630213         |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                              |                 | 0               | 0               |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ<br>ინსტრუმენტებში         |                 | 0               | 0               |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                     |                 | 0               | 0               |
| სულ აქტივები                                                   | <b>13963690</b> | <b>13018709</b> | <b>11139200</b> |
| ვალდებულებები                                                  |                 |                 |                 |
| საიჯარო ვალდებულება                                            |                 | 0               | 0               |
| სავაჭრო ვალდებულებები                                          | 957328          | 747625          | 130170          |
| ანარიცხები                                                     |                 | 0               | 0               |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                             |                 | 0               | 0               |
| საგადასახადო ვალდებულებები                                     |                 | 0               | 0               |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                     |                 | 0               | 0               |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                | 9428647         | 0               | 0               |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                | 838332          | 1147439         | 1050975         |
| მიღებული გრანტები                                              |                 | 0               | 0               |
| სხვა ვალდებულებები                                             |                 | 0               | 0               |
| სულ ვალდებულებები                                              | <b>11224307</b> | <b>1895064</b>  | <b>1181145</b>  |

|                                                                                                   |                 |                 |                 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში<br>'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში<br>'საპაიო კაპიტალი') | 3885710         | 11501335        | 10156484        |
| საემისიო შემოსავალი                                                                               |                 | 0               | 0               |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                      |                 | 0               | 0               |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი<br>ზარალი)                                                      | -1146327        | -377690         | -198429         |
| გადაფასების რეზერვი                                                                               |                 | 0               | 0               |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                              |                 | 0               | 0               |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                             | 2739383         | 11123645        | 9958055         |
| სულ საკუთარი კაპიტალი და<br>ვალდებულებები                                                         | <b>13963690</b> | <b>13018709</b> | <b>11139200</b> |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                         | 103059          | 94051           | 17582           |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                                    | 10385975        | 747625          | 130170          |

დირექტორი

ზ.ჩხაიძე

*გ. მგაიძე*



შპს ქართული ღვინის ბანკი  
 მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ლარში)

| საქმიანობის შედეგები                                                     |            |            |
|--------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| საქმიანობის შედეგები                                                     | 31/12/2022 | 31/12/2023 |
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                                    | 116656     |            |
| სხვა                                                                     | 116656     |            |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                | -39340     |            |
| საერთო მოგება                                                            | 77316      |            |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                               | 11254      | 51315      |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                 | 0          |            |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                               | -11673     |            |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                 | -127462    | -273603    |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                            | -127881    |            |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                 | -50565     | -222288    |
| სავალუტო სახსრების გადაფასებიდან                                         | 0          | -160176    |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                  | -120621    | -386172    |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | -171186    | -768636    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                | 0          |            |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                   | -171186    | -768636    |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                 |            |            |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                      | -171186    | -768636    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                      | 9958055    | 11123645   |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                    | -8075      |            |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                | 1344851    | -7615626   |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                           | 11123645   | 2739383    |

დირექტორი



ზ.ჩხაიძე

*Handwritten signature in blue ink.*

შპს ქართული ღვინის ბანკი  
 ფულადი სახსრების ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ლარში)

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              |            |            |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              | 31/12/2022 | 31/12/2023 |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | -351677    | -630813    |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | -747050    | 0          |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 1098152    | 631095     |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | -575       | 282        |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0          |            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 687        | 112        |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 112        | 394        |

დირექტორი

ზ.ჩხაიძე

*ზ.ჩხაიძე*



შპს ქართული ღვინის ბანკი  
 კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ლარში)

| საკუთარი კაპიტალი                                                                           |            |            |            |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
|                                                                                             | 31.12.2023 | 31.12.2022 | 31.12.2021 |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 3885710    | 11501335   | 10156484   |
| საემისიო შემოსავალი                                                                         |            |            |            |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0          |            |            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | -1146327   | -377690    | -198429    |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0          |            |            |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        |            |            |            |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 2739383    | 11123645   | 9958055    |
|                                                                                             |            |            |            |

შპს ქართული ღვინის ბანკი  
 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქართული ღვინის ბანკი ს/კ 405352988 ; იურიდიული მისამართი: თბილისი სულხან ცინცაძის ქ N 12. დირექტორი ზურაბ ჩხაიძე (პ/ნ 01017000455): დამფუძნებელი და კაპიტალის 100 % წილის მფლობელი, შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა ს/კ 200075113 საქმიანობის სფეროს წარმოადგენს : სოფლის მეურნეობა- მევენახეობა-ყურძნის მოყვანა კოდი: 01210

შპს ქართული ღვინის ბანკი საკუთრებაშია სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ყვარლის რეგიონში. სოფელ შილდაში) და სასოფლო სამეურნეო ტექნიკა . 2020 წლის დეკემბრიდან დაიწყო ვენახის განაშენიანება.

2. მნიშვნელოვანი სადრიცხვო პოლიტიკა

---

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

#### 2.1 ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

---

#### ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანია საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31

---

დეკემბრამდე.

2.2 ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა. ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი

წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                                  | აშშ დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|------------|--------|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894     | 2.9753 |

- 2.3 შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- 

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

## 2.3 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

## 2.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

## 2.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## 2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველასახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს, ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ, მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                              |       |
|------------------------------|-------|
| სასარგებლო მომსახურების ვადა |       |
| შენობა-ნაგებობები            | 15-25 |
| სასოფლო ტექნიკა              | 10-15 |
| ოფისის დანადგარები,          | 5 -6  |
| აღჭურვილობა და ავეჯი         |       |
| დანადგარები                  | 7-10  |

---

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად, განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## 2.7 იჯარა

---

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

## 2.8 -მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი

მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არარის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

## 2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში

უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

## 2.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია

## 2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

## 2.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

---

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

#### 3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლი ათავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

---

კომპანიის დირექტორი - ზურაბ ჩხაიძე

ხელმოწერა:

